გონიო-აფსაროსის
არქეოლოგიურ-არქიტექტურული
კომპლექსი



2

1. რომში მოჭრილი ადრიანეს დენარის შუბლი.
2. ფაუსტინა II (161-176 წწ.). რომი. დენარი. მოჭრილია 173 წელს.
3. რომში მოჭრილი ვესპასიანეს დენარის შუბლი
4. რომში მოჭრილი კარაკალას დენარის შუბლი
5. პოლემონ II. დრაქმა.
6. კესარიაში მოჭრილი კარაკალას დრაქმის ზურგი, არგეის მთა



# აფსაროსში აღმოჩენილი რომაული მონეტები



5


www.ajaraheritage.ge

info@ajaraheritage.ge

Gonio - Apsaros Fortress



აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA

ნუმიზმატიკური მასალა გონიოს აღმოჩენათა შორის განსაკუთრებული ყურადღებისა და ინტერესის საგანია. მათ შორის უძველესია ლუგდენიუმში (გალია) ტიბერიუსის სახელით მოჭრილი დენარი. ამ პერიოდის მონეტა, ფაქტობრივად, უცნობია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ფორტებისათვის. იუდეის მეფის აგრიპა I (37-44 წწ) სახელით მოჭრილი მონეტაც უნიკალურია.

რომაული მონეტების უადრესი ჯგუფი ქალაქ ანტიოქიიდანაა. ქალაქ გადარაში ტიტუსის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტა სირიულ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ. ეს აღმოჩენა უნიკალურია არა მარტო აფსარისისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის. კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები ქრონოლოგიურად შემდეგ პერიოდს მიეკუთვნება.

აფსაროსის ნუმიზმატიკურ მონაპოვართა შორის გვხვდება დენარებიც. განსაკუთრებულ ყურადღებას ტრაპეზუნდის მონეტები იპყრობს. უკანასკნელ აღმოჩენათა შორისაა სინოპეში მოჭრილი გორდიანე III სპილენძის მონეტა. აფსაროსში აღმოჩენილი II ს მონეტებს შორის ჭარბობს რომში მოჭრილი ცალები. ასევე გვხვდება კესარიაში, ტრაპეზუნტსა და ნეოკესარიაში მოჭრილი მონეტები. III ს მონეტებს შორის სჭარბობს ვერცხლის ნომინალები. ისინი მოჭრილია კესარიაში, რომში, ტრაპეზუნტში, სალონიკსა და სინოპეში.

II-III სს ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ჩანს, რომ აფსაროსი მცირე აზიის გავლენის ქვეშ მოექცა, რაც კაპადოკიის პროვინციასა და სამხრეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროსთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავებით გამოიხატა.


1

3


3


4

6